საქართველოს მთავრობის

დადგენილება №632

2015 წლის 17 დეკემბერი

ქ. თბილისი

„სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №176 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №176 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/04/2015, 010130000.10.003.018561) და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^1 პუნქტი:

„8^1. განსაკუთრებულ შემთხვევებში იმ პირებზე, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ამ წესის №1 დანართით, დიპლომატიური პასპორტი გაიცემა საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**